№ 60 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 2 მან. სამშაბათი, 16 მარტი 1920 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა.
მიიღება ხელის მოწერა გაზ. ,,საქ. რესპ.'' 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 40 მან., ცალკე ნომერი ყველგან 2 მა. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. მე-4 გვ. 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 80 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის ეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1—82.

## საქართველოს კონსტიტუციისთვის.

10.

### დროშა და ღერბი.

უთუოდ საჭიროა ჩვენს კონსტიტუციაში იყოს აღნიშნული საქართველოს სახელმწიფო დროშა და სახელმწიფო ღერბი.

საქართველოს წინათ, როცა ის სახელმწიფოს წარმოადგენდა, დროშაც ჰქონდა და ღერბიც. პოლიტიკური თვითარსებობის დაკარგვის შემდეგ და საუკუნეობრივ მონობის განმავლობაში ხალხის ფართო მასის მახსოვრობაში თითქოს გაჰქრა მათი სახე და მათი პოლიტიკური მნიშვნელობა.

ჩვენ სწავლულთ და ხელოვანთაც სადაოდ გაუხდათ შარშან ის საკითხი თუ როგორი იყო ჩვენი სახელმწიფო დროშა და სახელმწიფო ღერბი წარსულში და როგორი უნდა ყოფილიყო ახლა. პოლიტიკურ წრეებში ამის შესახებ მრავალთ დაახლოვებითი წარმოდგენაც არ ჰქონდათ. ბევრი კი მომენტის ზეგავლენით ივიწყებდა სახელმწიფოებრივი ტრადიციით და ისტორიით გამტკიცებულ სახეებს.

ხოლოს ხელოვნების კომისიამ ჩვენი ისტორიულ-ნაციონალურ ფერებად აღიარა წითელი (შინდისფერი), შავი და თეთრი. საქართველოს ერობნულმა საბჭომ 1918 წ. სექტემბრის 10-ს მიიღო კანონი რესპუბლიკის დროშის შესახებ. კანონის ტექსტი ასეთია.

,,საქართველოს რესპუბლიკას აქვს თავისი დროშა სამფეროვანი: წითელის (შინდისფერის), შავის და თეთრის ფერისა. დროშას შეადგენს: თეთრი ბუნი თავში ბარიგით და შუაზე წვერით, ალამი წითელი (შინდის ფერისა), შავი და თეთრი თანასწორი ზოლებით ზემოკუთხეში, ბუნთან; შავი და თეთრი ზოლები შეადგენს ალამის განის ნახევარს და სიგრძის ორმეოთხედს''.

რაც შეეხება ღერბს, მის გარშემო დიდი შუღლი-შეშინება(?) გაიმართა თავის დროზე. საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი ორად გაიყო. ეროვნულ საბჭოს ხელოვნების კომისია თავიდანვე დადგა ძველი სახელმწიფოებრივ ტრადიციის და ისტორიის ნიადაგზე და აღიარა აუცილებელ საჭიროებად ჩვენი სახელმწიფოსთვის თეთრი გიორგის ღერბი, როგორც ეს ჰქონდა საქართველოს სახელმწიფოს წარსულში. ამას მოწინააღმდეგენი გამოჩნდენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ მაინც და მაინც ამ ტრადიციის დაცვა და მისი გაგრძელება არაა აუცილებელი და მის ნაცვლად თავგამოდებით იცავდენ ჩვენს ღერბად განთავისუფლებულ ამირანის სურათს.

ბოლოს ეროვნულმა საბჭომ მისცა დასასრული კამათს კანონის მიღებით (1918 წ. სექტემბრის 20) ღერბის შესახებ. კანონი ამბობს, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას აქვს თავის სახელმწიფო ღერბი და ასეთ ღერბად არის აღიარებული თეთრი გიორგი შვიდი მნათობით. შემდეგ საქართველოს პარლამენტი სცემს კანონს (1918 წ. 27 დეკ.), რომელშიაც აღწერილია რესპუბლიკის ღერბი. აი ეს აღწერილობა რესპუბლიკის სახელმწიფო ღერბისა:

,,შინდისფერ ადგილიანს რგვალ ფარზედ თეთრი გიორგი ოქროს შლაქებიანს თეთრს ცხენზედ. მარჯვენა ხელში შესატევად მომარჯვებული ოქროს შუბი ვერცხლის ლახვრიანი. ცისფერი ჯავშანი, რომელსაც აქვს ვერცხლის უჯრედები; ჯავშნის ქვეშ მიხაკის ფერი ტყავის პერანგი; სახელო და ბოლო მოსასხამისა თეთრი. მარცხენა მხარზედ თეთრი ფარი საბიანი; შალვარი ალისფერი, ოქროს წაღები; უნაგირის ქვეშ ვეფხის ტყავის ყაჯარი; უნაგირი ოქროსი და უზანგი ვერცხლისა; ღერბის თავში რვაკუთხიანი ვერცხლის ვარსკვლავი; მის მარჯვნივ ვერცხლის მთვარე, მარცხნივ ოქროს მზე; მთვარის და მზის აქეთ-იქით ორ-ორი რვა-კუთხიანი ვერცხლის ვარსკვლავი. ცხენის ქვევით შავი მთის მწვერვალი. ფარის გარშემო შავი არშია, თეთრ-წინწკლებიანი, ოქროს ზოლებში ჩასმული''.

კანონებით ცალკე გამოცემული იყო(?) ერთეულ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შტანდარტის და სამხედრო დროშის შესახებ. მაგრამ ამათ ჩვენთვის ამდენად დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ჩვენ არ გვგონია საჭიროდ ეს დროშები შეტანილი იყოს კონსტიტუციაში.

სხვა ქვეყნების კონსტიტუციათა მაგალითს თუ შევხედავთ, დავინახავთ, რომ ზოგან სრულიად არაფერია ნათქვამი სახელმწიფოებრივ დროშასა და ღერბზე, ზოგან კი ისინი მოხსენებულია.

ბელგიის კონსტიტუცია ამგვარად გამოხატავს საგანს: ,,ბელგიის ნაციონალურ ფერებად ითვლება წითელი, ყვითელი და შავი. ხოლო სახელმწიფოებრივ ღერბად—ბელგიის ლომი წარწერით: ძალა ერთობაშია—l'union fait la force''.

რუმინიის კონსტიტუცია ამბობს, რომ ,,რუმინიის ნაციონალურ ფერებად, როგორც წინათ, ითვლება მწვანე, ყვითელი და წითელი''.—სერბიის კონსტიტუცია: ,,სერბიის სამეფოს ღერბით ორთავიანი თეთრი არწივი წითელ ფარზე სამეფო გვირგვინით. თეთრი არწივის ორივე თავზე სამეფო გვირგვინია; თითოეულ ფეხ ქვეშ ოსამანის ტიტი. ამ არწივის მკერდზე სერბიის სამთავროს ღერბი—თეთრი ჯვარი წითელ ფარზე, რომლის ყოველ კუთხეში არის კვესი. ნაციონალური ფერები: წითელი, მუქ-ლურჯი(?) და თეთრი''.

ეს მხოლოდ მაგალითისთვის მოგვყავს.

საქართველოს კონსტიტუციაში, როგორც ითქვა, აუცილებელია ჩვენი ნაციონალური ფერების, სახელმწიფოებრივი დროშის და ღერბის აღნიშვნა. მით უმეტეს, რომ თავი დავანებოთ, ამას აქვს უდიდესად დიდი მნიშვნელობა ჩვენი ხალხის პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი შეგნებისთვის. კითხვა ეხება მათ კონსტიტუციაში შეტანას, თორემ ყოველ სახელმწიფოს მაშასადამე საქართველოსაც—რომ აქვს თავის საკუთარი დროშა და ღერბი, ეს თავისთავად ცხადია.

საყურადღებო ის არის, რომ ჩვენი დროშის ალამი წითელი, უფრო კი შინდისფერია, ზედ აქვს შავი და თეთრი ზოლი. ეს არის დროშის ფერების შემადგენლობა და შეხამება. ამ მხრით ჩვენი ნაციონალური ფერები და ჩვენი დროშა, ისტორიული და სახელმწიფოებრივი, სიმბოლიურად ხატავს რევოლიუციონურ და ეროვნულ მომენტებს ერისა და იმავე დროს.

ცხადია, რევოლიუციის გამარჯვება იყო მთავარი მიზეზი ჩვენი ეროვნული განთავისუფლების. ბორკილ აყრილი, განთავისუფლებული სამშობლო ყოველთვის განსაკუთრებით მადლიერი იქნება იმ დიადი პოლიტიკური მოძრაობის, რომელმაც დაამხო სულთა-მხუთავი თვითმპყრობელობა და საშუალება მისცა დამონებულ ერებს სრული განთავისუფლებისათვის.

ჩვენი დროშა, მაჩვენებელი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სახის, ამავე დროს თავისთავად გამომხატველია რევოლიუციური ფერის—წითელი, ანუ შინდისფერი ალამის, რომელზედაც სურათდება განთავისუფლებული ერი და ნაციონალური სახელმწიფო.

ჩვენს კონსტიტუციაში უნდა ითქვას, რომ საქართველოს რესპუბლიკას აქვს დროშა სამფეროვანი; შინდის ფერი ალამი, შავი და თეთრი ზოლებით. ვფიქრობთ, ასეთი გამოთქმა საუკეთესო იქნება. კონსტიტუციაში დროშის აღწერილობის შეტანა ყოვლად შეუძლებელია: კმარა ზოგადი დებულება.

იგივე უნდა ვსთქვათ შესახებ სახელმწიფო ღერბისა. ვფიქრობთ, თეთრი გიორგი თეთრ რაშზე მჯდომი უნდა დარჩეს სახელმწიფო

დროშად და კონსტიტუციაშიაც ეს უნდა გადავიტანოთ. აღწერილობის შეტანა აქაც ზედმეტია და შეუძლებელი.

არ შეიძლება აქ არ ითქვას, რომ თეთრი გიორგი, როგორც დროშა მიღებულია. მაგრამ თითონ შემოღებული სურათი დროშისა, როგორც კანონში გაბლავს აღწერილი, ძალიან აფერმკრთალებს დროშის სიმბოლიურ ძალასა და ხასიათს. ძველი დროშა ხატავს თეთრ გიორგის თეთრ ცხენზე. შუბით ხელში, იგი ძლევა-მოსილებით ებრძვის გველეშაპს, რომელიც ლახვარდასობილი საშინლად იკლაკნება სულთმობრძაობაში. აი განუყრელი შესანიშნავი სურათი—სიმბოლო ადამიანის თუ ერის ბრძოლისა ბოროტებასთან. ეს ბრძოლა ბოროტებასთან თავისთავად დაუსრულებელია, მუდმივია. ტ აი ეს აძლევს ჩვენის ფიქრით, უპირატესობას თეთრი გიორგის დროშას სხვა პროექტებთან შედარებით. მაგრამ ჩვენს დღევანდელ დროშაში სწორედ ეს ბრძოლა ბოროტებასთან, ეს მუდმივი დაუცხრომელი და ძლევა-მოსილი ლტოლვა სიმართლისა უსამართლობის და სიბნელის დასათრგუნველად აღარ სჩანს, რაც დიდ დანაკლისად უნდა ჩაითვალოს. შესაძლებელია საქართველოს სახელმწიფოებრივი აზროვნება კიდევ დაუბრუნდეს დროშის საკითხს და თეთრი გიორგი აღადგინოს თავის შელახულ უფლებებში... ეს შესაძლებელია და სასურველიცაა.

მაგრამ დღეს ეს საკამათო საგანს თითქოს არ წარმოადგენს. ყოველ შემთხვევაში კონსტიტუციაში აღინიშნება ისე ზოგადად (თეთრი გიორგი თეთრ რაშზე), რომ შესაძლებელია მოსალოდნელი შესწორება დროშის შესრულებაში აღარ გააბრუნებს თვით კონსტიტუციურ დებულებას.

**ა. საყვარელიძე**